წლიწადი პირველი — № 1 ნომერი 3 კაპეიკი შაბათი, 9 მაისი 1906 წ.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს. 2 ს.; სადამოს 5 ს.—7 ს.

ადრესი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

# ხმა

## ყოველდღიური გაზეთი

გაზეთი ღირს: 1 წლით . . 5 მ. — კ.
„ „ 6 თვით . . 2 მ. 50 კ.
„ „ 3 „ . . 1 მ. 50 კ.
„ „ 1 თვით . . — 50 კ.
ცალკე № „ . . . . — 3 კ.
წლის დამლევამდის . . . 3 მ. — კ.

Груз. Г
F675 №4576
Инв. № 223
კ. მარქსის ს. ხ. საქ. სსრ სახელმწ. რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

შინაარსი:

1) ჩვენი პროგრამმა; 2) სად იყავით აქამდის? 3) ფელეტონი: 1) ლექსი პროზად; 2) ინტერნაციონალის წინამორბედნი. 4) ახალი ამბები. 5) დეპეშები. 6) ჩვენი ბიბლიოთეკა.

### ჩვენი „პროგრამმა" (!?).

შემოიარეთ მთელი ქვეყანა და ჰკითხეთ ჩვენ მოწინააღმდეგეთ—რა არის ანარხია? ვინ არის იგი თავის მიმართულებით თავისი აზრით, თავისი მისწრაფებით, თავისი ღვაწლით? და რა პასუხს გაძლიან, რო იცოდე, მკითხველო, ეს ათასფრივად აჭრელებული პარტიები, მეცნიერები, მთავრობის ბრწყინვალე წარმომადგენლები და ათასი სხვა,—ზოგი უმეცრებით, ზოგი გველ-შხამიანობით, ზოგი შურით, ზოგი პირდაპირი მტრობით!

ანარხისტი! ეს ხომ მხეცია, კაცის სახით მოვლინებული, მუდამ ბომბით ხელში, მუდამ ხანჯლით და საწამლავით, როგორც ოდესმე იეზუიტთა ორდენის წმიდა წევრები. ეს ხომ პოლიციის მარჯვენა მხარეა, ან და უტოპისტია, არარაის მცოდნე, გიჟი, შეშლილი, არანორმალური, კულტურისა და ცივილიზაციის მტერი, მოსურნეა დაუბრუნოს კაცობრიობას აწ საწუთროს ჟამთა მორევში შთანთქმული წარსული ველურობისა, თაყვანის მცემელი ხალხისა და მუდამ მუხლმოდრეკილი სიკვდილის წინაშე!...

და ვინ არის ამ გვარი აზრის მატარებელი ჩვენს შესახებ? ვინ არის ჩვენი მტერი, მოწინააღმდეგე მოყამათე! სახელი ამათი არის ლეგიონ! მთავრობის მთელი მეხანიზმი, სამეცნაერო კათედრიდან მღაღადებელი იურისტები მთელი ბურჟუაზია, მთელი სამღვდელოება, მთელი არისტოკრატია, მთელი სკოლები. სოციალიზმისაც კი, და განსაკუთრებით სოციალდემოკრატია, რომელთაც ყელზედ ვადგივართ კაი ხანია უკვე და გვდევნის ისეთის უსირცხვილობითა და უდიერობით, რომ ხშირათ იეზუიტები და მთავრობაც არ იკადრებს ამ გვარ რამეს. ეს იმიტომ, რომ სიმხეცის გარდა ერთი რამ თვისება გვჭირს: ჩვენ „პროგრამმა" არა გვაქვს, ყოველნაირ საზოგადოების გარეშე გვინდა დავდგეთ, არც ერთ „პარტიას" არა ვეკუთვნით და მათთან საერთო არა გვაქვს რა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვა პარტიებში არის უსათუოდ რაიმე მსგავსება! წადით და დაესახლეთ რომელიმე განდგომილ კუნძულზედ, განშორდით ქვეყნიერებას, იქ განახორციელეთ თქვენი უტოპია, აქ კი მთელი საზოგადოების მტლად ხართ მოვლინებული და ცბრძვით, სანამ თქვენ მტვერს არ მოჰფენთ ქვეყნის თვალ უწვდენელ სივრცესო!

დიახ, მართალია, ჩვენ არც სხვა „პარტიებს" ვგევართ, არც რაიმე საერთო გვაქვს თანამედროვე საზოგადოებასთან: მისი გული უნდა ვღრღნათ, სანამ სრულიად არ გამოვსწოვთ სისხლს, კაცობრიობის საუკუნეთა განმავლობაში მომშხამველს, არც გავალთ საზოგადოებიდან, არამედ გავანგრევთ მას და ტურფად ავაგებთ მის საზიზღარ ნანგრევებზედ მშვენიერ თავისუფლების დიდებულ ტაძარს.

აი ჩვენი დანაშაული!

ჩვენ პროგრამმა არა გვაქვს, როგორც ყოველ სხვა პარტიას. პოლიტიკური პარტიების მინიმუნები ჩვენ არ გვაინტერესებს, იგინი ჩვენთვის აზრის სილაჩრეა და იეზუიტობა, თუ განსაკუთრებით რომელიმე სოციალისტური პარტია რადიკალობს სოციალიზმის სახელით და თავის სილაჩრეს „მინიმუმის" სახელწოდებით ამართლებს და იფარავს.

აი ჩვენი ნაკლი.

ანარხისტი და პროგრამმა ვის გაუგონია,—გესმისთ ყოველ ნაბიჯზედ. და ამ გონებით უბადრუკთა არ ესმისთ, რომ რომელიმე კონგრესსზედ მძინარა დელეგატების მიერ დამტკიცებული პროექტი პროგრამმის, პუნქტებად დაწყობილი შეთითხნილი „მინიმუმი" მხოლოდ თავისივე აზრისა და მოქმედების ფრთების შეკვეცაა, მასთან უუკადნიერესი პრეტენზია, შეუძლებელი წინასწარმეტყველება უკიდურეს წვრილმან მოვლენათაც კი. აიღეთ თანამედროვე ს. დ.—ების პროგრამმა და სხვათა მინიმუმები, განიხილეთ იგინი თვით დიდი მოძრაობის საწუთროს ჟამში ჩახედვის შემდეგ და სრულიად დაგეკარგებათ გემო პროგრამმების შედგენის, თუ საუკუნოდ არ გინდათ მასხარათა—როლი ითამაშოთ იმ ისტორიულ ტრაგედიაში, სადაც თქვენი თავი გიგანტად მიგაჩნიათ!

ჩვენი პროგრამმა—ჩვენი იდეალის დაახლოვების ცდაა ჩვენივე ძალით, ჩვენივე მოქმედებით. ეს არის ჩვენი მაქსიმუმიც და მინიმუმიც. მუდმივი, განიადაგებული ბრძოლა ამ იდეალისკენ,—აი რა დაახასიათებს ჩვენს მოქმედებას. მაქსიმუმი ჩვენი ენერგიისა, დახარჯული ამ იდეალის დასაახლოვებლად,—აი რა გვაიძულებს აუცილებლად ვიყოთ რევოლიუციონერები.

ჩვენ ვიცით, რომ დღეს 9/10 კაცობრიობისა კერძო საკუთრების, კაპიტალისტური ფორმის წყალობით სიმშილისა, წამებისა და გადაგვარების გზაზედ ადგია. ჩვენ ვიცით, რომ ერთად ერთი საშუალება ამ გვარ სოციალური ჟამის მოსაპოებლად სოციალური რევოლიუცია,—მოსპობა კერძო საკუთრებისა მიწაზედ და სხვა ყველა საწარმოო საშუალებაზედ და მით გადაცემა მწარმოებელი ასსოციაციებისათვის, ე. ი. კომმუნისტიური მოწყობა წარმოების, განაწილებისა და ხმარებისა. ამიტომაც ვართ კომმუნისტები და მუდამ მივისწრაფით ამ იდეალისაკენ,

ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფომ თავისი მრავალგვარი ძალ-დატანებითი დაწესებულებებით ისტორიის განმავლობაში ხალხს წაართვა ძალით მთელი საშუალება ცხოვრებისა, მოაწყო ძალ-მომრეობის ორგანიზაცია,—მთავრობა კანონმდებლობით, სამსაჯულო საპყრობილეებითა, ჯაშუშებითა და ჯალათით, ჯარი და პოლიცია,—რომ მუდამ ჰყოლოდა ხალხი ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობაში, რომ სწორედ ამ დაწესებულებათა ძალას უნდა შეეჯახოს მეორე წილი ძალა, როცა სოციალური რევოლიუციისა, რომელიც მხოლოდ მათი წალეკვით დაუდგამს ტახტს კომმუნიზმს,—და ამიტომაცა ვართ სახელმწიფოს უარმყოფელნი რევოლიუციონერები.

ჩვენ ვიცით, რომ კანონი და ძალმომრეობა საზოგადოებრივ მოწინაღმდეგე მოვლენანი არიან, საზოგადოებრივობა კი სულ სხვაა,—თავისუფალი შეერთება პიროვნებათა საერთო ბრძოლისა და წინ-სვლისათვის,—რომ მხოლოდ სრულიად თავისუფალ პიროვნებას შეუძლია თავისუფალი განვითარება მთელ თავის ნიჭთა და ენერგიათა,—ამიტომაცა ვართ ანარხისტები, უარ-მყოფელნი ბატონობისა და უმცროს-უფროსობისა.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველთვის ყოფილა ისტორიაში მისწრაფება კომმუნიზმისაკენ და თავისუფლებისაკენ, რომ დიდ ხალხის მოძრაობას ყოველთვის მიუღია ხოლმე სწორედ ამგვარი ხასიათი,—განსაკუთრებით მე-XIX საუკუნეში სოციალიზმმა ნათლად გამოჰხატა ეს ტენდენციები მწარმოებელთა, რომელნიც უკვე გარკვეულად და მედგრად მიისწრაფიან ამ იდეალისაკენ,—და ეს გვისახავს გულს მომავლის იმედს.

ჩვენ ვიცით, რომ წარსულის დიდი მღვრიე ნაკადული საშინელის სიმძიმით აწვება კაცობრიობას და ერეკება უმოქმედობისა და სასოწარკვეთილების უფსკრულში, რომ იგი წინააღმდეგი ძალაა კაცობრიობის ტენდენციისა და იდეალის,—რომ ეს არის ფიცარი წარსულ დახავსებულ მცნებათა. ღმერთი, სარწმუნოება, კანონის და სახლმწიფოს კულტი და სხვ.—ეს ძველი ღირებულებანი ადამიანის ტვინსა შხამვენ და ფრთებს ჰკვეცავენ მისს შემოქმედებას,—და ამისავის ვამტვრევთ ამ ფიცრებს, ამისათვის ვარღვევთ ძველ ღირებულებათა, ამისათვის გავიძახით: გაუმარჯოს ადამიანის მძლავრ შემოქმედებით ნიჭს, ჩამოდექით წმინდა მეცნიერებისა და კეთილ-შობილი ხელოვნების წინაშე!

კაცობრიობის ტენდენცია განთავისუფლდეს ეკონომიურად, პოლიტიკურად და ზნეობრივ-გონებრივად. ჩვენ ეს მისი მისწრაფება ვიცით, ვიცით მისი მოწინააღმდეგე ძალებიცა და ამიტომაც ვართ კომუნისტები, ანარხისტები, თავისუფალი მოაზრე-ათეისტები და რევოლიუციონერები.

ორგანიზაცია კომმუნისტიურ თემთა, რომ მწარმოებელმა ნაკლები ენერგია დახარჯოს და მეტი დაკმაყოფილება მიიღოს თავის მოთხოვნილებისა, ორგანიზაცია თავისუფალი და კანონის და სახელმწიფოს გარეშე, რადგანაც ეს უკანასკნელნი საზოგადოებრივობის წინააღმდეგნი მოვლენანი არიან.

ადამიანის პიროვნების ყოველ მხრივი, ინტეგრალური განვითარება და მისი განთავისუფლება დოგმატთაგან.

აი რა არის ჩვენი იდეალი, ჩვენი „პროგრამმა". ამასთანავე, რადგანაც თანამედროვე საზოგადოება ისეა მოწყობილი, რომ ყოვლად შეუძლებელია ძალის მოუხმარებლად განხორციელება ამ იდელისა, ან ერთი მათგანისა,—ჩვენ ვქადაგობთ ძალმომრეობით რევოლიუციას დიდ სოციალურ რევოლიუციას, რომელმაც უნდა გასწმინდოს საზოგადოება ათასწლობით მოგროვილი მყრალი ნაგავისაგან.

აი ჩვენი საშუალება ბრძოლის.

სწორეთ ამითი განვსხვავდებით სხვა პარტიათაგან. პარტიათა ხასიათი განისაზღვრება იმითი, თუ რომელ დაწესებულებათ ებრძვის იგი საზოგადოებაში, და რომელთ დამყარება უნდა დანგრეულის მაგივრად, და არა მითი თუ რა არის მისთვის სასურველი მომავალში. ყველა პარტიას აქვს შეიძლება იდეალად, და მხოლოდ იდეალად, ბრწყინვალე მომავალი კაცობრიობისა, მაგრამ არც ერთი არ ებრძვის არც ერთ თანამედროვე დაწესებულებას,—მათ მხოლოდ ფორმა უნდათ შესცვალონ ამ დაწესებულებათა, ფორმა მონობისა, და კიდევ არა სცხვენიათ, რომ თავისუფლებაზედ და სოციალიზმზედ ულაღადებენ ადვილად მომტყუებელ ხალხს,—ჩვენ კი ყველა დაწესებულებათ გამოუცხადეთ ომი ყველგან და ძველ მონურ განყოფილებათა მაგიერ, მათი მოსპობით, სრულიად ახალი განყოფილებათა შემოღებაში უნდა დავეხმაროთ კაცობრიობას. ეს არის ჩვენი დამახასიათებელი მხარე და ეს გრევთ, ბ.ბ. პროგრამიანო მონიმალისტებო, ეს გალაპარაკებთ ჩვენს წინააღმდეგ ამდენ სისულელეს, რაც ჩვენთვის ხელ-საყრელია, და ამდენ ცილის წამებათა, რაიცა თქვენთვის არაფერი სასახელოა?

ჰოი დიდ სულოვანებავ, სადღა არის შენი დიადი მშვენიერებაl..

და ჩვენ შევდივართ, როგორც ინტეგრალური ნაწილი ამ საერთო ხალხური მოძრაობის მექანიზმისა, ჩვენც, როგორც ადამიანნი, მომქმედნი და განსაზღვრული მოძრაობის, შემოქმედობის ნიჭის მქონენი, განსაზღვრულ ოდნობას წარ... ...გენთ; ყოველი შედეგის შემდეგ ვკმაყოფილებთ თავს: feci, quod potui, და არც ერთ ჩვენგანს არა აქვს ამიტომ არავითარი პრეტენზია ან ხელში ჩაიგდოს მთელი რევოლიუციის ზღვა დ მის ღელვათა ბრძანებლად შეიქმნეს, რადგანაც ეს დონ-კიხოტობაა, არც ხელთ გულს იქდოზს უძალო ფატალისტსავით, და გაიძახის—უჩემოდაც საქმე გაკეთდებაო, რადგანაც ძლიერ კარგად იცის, რომ ყოველ მოვლენათა მიზეზი ძალთა მოქმედებაა, და კუდი, როგორც უდიდესი ძალა, დაუშრეტელი წყარო მოქმედებისა, მოვლენათა წარმოშობისა... ჩვენ თვით ამ მოქმედების ზღვაში განბანას ვსცდილობთ, და თუ ხანდახან სისხლში გვაბანავებენ ხოლმე ჩვენი მოწინააღმდეგენი—ეს საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია მისი, რომ ძალას წარმოვადგენთ და გვიცდია მაინც ერთი ლურსმანი მაინც ამოგვეცალა იმ საშინელი კუბოს ფიცრებიდან, რომელშიდაც ცოცხლად არის ჩაქედილი სულთ-მობრძავი მრავალტანჯული ადამიანი.

ეს არის უტოპიზმი? მაშ ყოველთვის უტოპისტობას გისურვებ, ჩემო ძვირფასო მოქმედების მოსურნე მკითხველო! ამით ბედნიერების წმინდა ნაწილს მიიღებ შენს მრავალწამებულ ცხოვრებაში.

სულეიმან-ეფენდი.

## სად იყავით აქამდის?

### I

დიდსა დ პატარას ეს კითხვა აქვს გაზეპირებული. ყოველთვის როცა დღემდის ჩვენში მომქმედ პარტიების ყოფა ქცევას შეეხები, როცა იმ გზას, რომლითაც ისინი ივლიდენ დღემდის და რომელზედაც ხალხს უჩვენებდნენ, როგორც ერთად ერთ მიზნისკენ მიმავალ გზას, უვარგისად გამოაცხადებთ, ეს კითხვა არ აგცდებათ: სად იყავით აქამდის? ეს კითხვა, როცა ის საზოგადოებრივ ახალ მიმართულებისადმი, ან ახალ მოვლენილ პოლიტიკურ პარტიისადმი არის მიმართული, მხოლოდ მკითხველის სიბავშის, გაუგებრობის დამამტკიცებელია. არც ერთ სხვა ქვეყნის სოციალისტურ ლიტერატურაში არ არის აღნიშნული შემთხვევა, რომ უფრო ძველ პარტიას მიემართოს მაგვარი კითხვით, უფრო ახალი პარტიისათვის. რისთვის? იმისათვის, რომ მთელი ქვეყნის სოციალისტებმა იციან, რომ პარტიის მოვლენა, ახალი მიმართულების შობა ამა თუ იმ კერძო პირის სურვილზე და კაპრიზზე არ არის დამყარებული, რომ ახალი პარტიის გაჩენა, ახალი მიმართულების შობა რთული სოციალური მოვლენაა, რომელიც მხოლოდ მაშინ, იჩენს თავს, როცა აგრეთვე რთული სოციალური მიზეზები საჭიროთ ჰქმნიან მის მოვლენას. განა შეიძლება გავკიცხოთ კაცი იმისათვის, რომ ის ოცის წლის უმალ იშვა და არა ორმოცის! განა შეიძლება უთხრათ ბავშს, რომელიც იბადება: არა, მიბრუნდი იქით საიდანაც მოდიხარ, ჯერ შენი შობის დრო არ არისო? არა, ბუნების სტიქიას ადამიანი, თუ არა სულელი ვერ აღუდგება: ის რაც საშობია უნდა იშვას, ის რაც მოსავლენია უნდა მოვლინდეს. მხოლოდ ის სოციალური მოვლენა არის საფუძვლიანი, რომელიც სოციალური განვითარების, მომწიფების შედეგად მოვლინდება, ისე როგორც მხოლოდ ის ბავში არის დღიური, რომელიც 9 თვის დედის საშობი, მომწიფების შემდეგ იხილავს დღის სინათლეს. ბუნება ჩვენ ვერ განგვაგებს. რაც შეეხება ისტორიას, ისტორიამ ჯერ ჩვენ უნდა შეგვქნას, რომ მერმედ ჩვენ გავხდეთ ჩვენი ისტორიის აქტიურ ფაქტორებად. ერთი სიტყვით, ზემო აღნიშნულ კითხვის შინაარსის მხრივ სიკოტრე ცხადია ყოველ მოაზრე ადამიანისთვის, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ყველა მოაზრე კი არ არის, ყველა მოაზრე რომ იყოს, მაშინ ხომ ჩვენ ველარაფერი დაგვეძლევდა, რადგან აზროვნობაც ჩვენკენ არის და ლოღიკაც. ამისათვისაა სწორედ, რომ ლოღიკურ ნიადაგზე, ლოღიკის, ცოდნის და მოსაზრების არგუმენტებით ბრძოლას ჩვენი მოწინააღმდეგენი გაურბიან. მათ უფრო ამ გვარ კითხვებით ბრძოლა უყვართ, ეს კითხვაა მათი უმთავრესი არგუმენტი. მოწყალების თვალით შევხედოთ საწყლებს, გავშინჯოთ მათი უკანასკნელი არგუმენტი. ვნახოთ რა ყრია შიგ.

# ფელეტონი

* * *

ხმა!

ხმა სიმართლისა, ხმა ჭეშმარიტებისა!

ჯერ იგი ძლივ-საგრძნობელი იყო, ფოთოლთ შრიალში, წყაროს ჩუხჩუხში მიღუღღუღებდა.

შემდეგ ანგარიშ-მიუცემლათ, ფრთების გახსნებით ჯუჯუმკალმს გმოსცა იგი.

ბოლოს ჩიტებიც ახმაურდნენ, შექმნეს ჭიკჭიკი, ყრიამული

და აავსეს თვისი წარმტაცი ჰანგით უსწორო იადონმაც.

ამასობაში ლომნი ბრდღვინავდენ, არწივნი გაჰყიოდენ, ზღვა ღრიალებდა, ზეცაც გრგვინავდა.

მაგრამ აგერ გაისმა სულ სხვა ხმა... ადამიანის!

და დიდებულს ჰარმონიას ბუნებისას შეერთო იგიც.

იგი ათრთოლდა ცის ეთერში გაუბედავათ, თითქო ობოლი რამ ცეცხლიაო.

თანდათან იგი მოეფინა ტყესა და ღრეებს, მიუვალთა ადგილთ, თვალ-უწვდენელ გაშლილ მინდორთა და...

განაცვიფრა ყველანი.

ეს ხმა მთრთოლვარე შამბე ფარავდა, შამბე ჯობდა სხვა ხმების ძლიერსა.

ცა კვლავაც გრგვინავს, ზღვაც ღრიალებს, ლომნიც ბრდღვინავენ,

მაგრამ ეს ხმა თავისუფლათ მაინც მოისმის.

ხმა ადამიანისა, ხმა სიმართლისა, ხმა ჭეშმარიტებისა.

ხმა!

შალვა დადიანი

## ინტერნაციონალის წინამორბედნი.

### I

პრინციპების დეკლარაცია 1866 წ.

არავითარ შემთხვევას ამ საუკუნეში არ ჰქონია ისეთი დიდი, ისეთი ხელის შემწყობი გავლენა სოციალისტურ იდეების განვითარებაზედ და მათ პროპაგანდაზე განათლებულ ქვეყნის ყველა მხარეში, როგორც დიად მუშების ინტერნაციონალურ ასსოციაციის დაარსებას და ათი წლის არსებობას.

ერთი ნამცეცითაც კი არ იქნება გადაჭარბებული ის აზრი, რომლითაც თანამედროვე სოციალიზმის ყველა შკოლა, ფრაქციები დაკავშირებული არიან მეტად ან ნაკლებად პირდაპირ ამ დიდ ასსოციაციასთან და თვით სოციალისტური სახელ-წოდება, მაგალითად „კოლლექტივიზმი, კომუნიზმი, ავტონომიური, ლიბერტერული, ანარქისტული ინტეგრალური განათლება“ და სხვა შემოვიღეთ მის გამოცემებიდან და მის კრებებისაგან.

ამაზე მეტი ისაა, რომ დიდმა ასსოციაციამ, განსაკუთრებით ფრანგ მუშების მეცადინეობის გამო, განმარტა და ჩასწერა თავის მოთხოვნების რიცხვში, როგორც საზოგადოთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ძირითადი საფუძველი, ის, რომ „მუშების განთავისუფლება უნდა იყოს თვით მუშების საქმე“.

ამ დეკლარაციის წყალობით ხალხის მისწრაფება შეიქმნა დაცილებული ბურჟუაზიული პოლიტიკიდგან. უწინ პოლიტიკოსები ხშირად მთლად გულწრფელად აიგივებდნენ თავიანთ პოლიტიკურ და ხალხის მოთხოვნილებებს, როდესაც ხალხს კეთილდღეობა და თავისუფლება წარმოდგენილი აქვს, როგორც სოციალური სამართლიანობა ეკონომიურ თანასწორობაზე დამყარებული, მაშინ ბურჟუაზია კმაყოფილდებოდა ყოველთვის თავისი ინდივიდუალური თავისუფლებით, რომელიც უზრუნველყოფდა მათ სოციალურ და ეკონომიურ უპირატესობას, ხალხს კი უტოვებდა სიმშილით სიკვდილის თავისუფლებას და თანასწორობას უსვე-ბედოთა, რომლებიც კარგი არიან მხოლოდ გასაყვლეფად. 1848-ში ივანობისთვის სისხლის ღვრის დღეებში, მაშინ როდესაც რადიკალურმა ბურჟუაზიამ ჟ. ფავრის, მარის, მარასტის, ე. კავენიაკის და სხვების მეთაურობით დაალალატა და დახვრიტა ხალხი, აი ამ დროს პირველად იჩინა თავი ამგვარ გამოყოფის საჭიროებამ. გაარჩია რა კლასიური პოლიტიკოსები, ხალხმა ბოლო მოუღო აგრეთვე იმ ძველ დოკტრინას დიკტატურისას, რომელნიც გარეგნულად პროლეტარიატის სახელით სწარმოებდა და ნამდვილად კი რამოდენიმე განთქმულ პატივმოყვარეთა სასარგებლოდ, საგანგებო არსებათათვის.

კიდევ უფრო საყურადღებო იყო განსაზღვრა იმ მიზნის, რომელიც ამოღებული ჰქონდა ნიშანში სოციალისტურ მოძრაობას საზოგადოთ, განსაზღვრა ამბობდა: „განვიხილავთ რა, რომ კაპიტალისაგან მუშის დამონება არის ხანგრძლივი პოლიტიკური, ზნეობრივი და ნივთიერი მონობის წყარო.

„ამ მოსაზრებით, მუშების ეკონომიური განთავისუფლება არის ის დიდი მიზანი, რომელსაც უნდა დაუქვემდებარდეს ყველა პოლიტიკური მოძრაობა“.

რადგან პირველი მოთხოვნილება განაცალკევებდა ხოლმე მყვლეფელთა პოლიტიკას გაყვლეფილთა პოლიტიკისაგან, ამიტომ ის მოითხოვდა, რომ ბატონი შეთქმულები, რადიკალები და იაკობინელები დაქვე-

ჩვენ თქვენზე უფრო ადრე მოვედით. ბიჭოს, ჩვენ თქვენზე უფრო ადრე ჩინგის-ხანი და თემურ-ლენგიც კი იყო ჩვენში. მაშ ჩვენ აღარ უნდა მოვსულიყავით? ჩვენ უფრო ადრე მოვედით,—ეს ხომ ველურების პრინციპია,—რომ მივლენ სადმე იქ აღარავის მიუშვებენ—აქ ჩვენ მოვედით უფრო ადრე, ეს მიდამო ჩვენიაო. ჩვენი სოციალდემოკრატები ველურებზე კიდევ უფრო უარესად იქცევიან; ველურები ტყეს, მინდორს ითვისებენ, ისინი კი ცდილობენ შეჰქმნან მითვისების კანონი აზროვნობის მიდამოში. საქართველოში ჩვენ მოვედით უფრო ადრეო და ამისათვის ქართველ ხალხს, ქართველ მუშას თავის კერძო საკუთრებად აცხადებენ. გეუბნებით, გაიგეთ, რომ ჩვენ კერძო საკუთრებას უარ ვყოფთ. ან და ვსთქვათ, რომ თქვენ მოდით უფრო ადრე, თქვენ დაიწყეთ ლაპარაკი. მერმე რა? არ შეიძლება, რომ მართალი არ იყოთ? არ შეიძლება რომ თქვენ სცდებოდეთ? აზრის სიმართლე მის სიძველეზე და სიხავსეზედ ხომ არ არის დამოკიდებული? კუვიე ლამარკზე და დარვინზე უფრო ადრე იყო. როცა სენტ-ილერი ლამარკის ზედ-გავლენით მის კატასტროფების თეორიას ნორჩ ტრანსფორმიზმს უყენებდა წინ, კუვიე და მისი მომხრენი იცინოდნენ—ვინ არიან ნეტავც ესენი ჩემს დიდის ხნის ავტორიტეტს რომ შეეხენო. კუვიე უფრო ადრე იყო ჩისული ბუნების მეტყველების მიდამოში, ლამარკი და დარვინი მას მერმედ მოვიდნენ. ვინ გამოდგა მართალი? ძველი თუ ახალი? აზროვნობა მუშაობს, მეცნიერება წინ მიდის, შემცდარ აზრების ადგილს მართალი ან უფრო მართალი აზრები იჭერენ—ეს პროგრესის კანონია, მისი მოქმედების შეჩერება არავითარ პარტიას არ ძალუძს.

როცა დაწიოკებული ნაპოლეონ I რუსეთიდან ევროპაში მიდიოდა გზაზედ თავისი ელჩი მიეგება. გულ მოკლულმა ნაპოლეონმა თავის ელჩს შესჩივლა: სადაც შევხვდი რუსებს ყველგან დავამარცხე, მაგრამ რა ვქნა, ვერ მოვახერხე, რომ ზამთარი არ ყოფილიყო, ბუნების სტიქიას ვერ ვსძლიეო. ისეა ეხლე ჩვენი საქმეც. თუ ლოღიკის, ისტორიის, ცოდნის ნიადაგზე შეგვებრძოლებით, იმედი გვაქვს გამარჯვება თქვენს მხარეზე არ დარჩება და თუ მაინცა და მაინც მიასობთ ფეხს და იმეორებთ ერთ და იმავე „სად იყავით აქამდის“—რა ვქნათ, რა ჩვენი ბრალია, რომ ჩვენ თქვენსავით საფლავში მიმავალი მოხუცი არა ვართ. რა ჩვენი დანაშაულია, რომ ჩვენი მზე მაშინ ამოდის, როცა თქვენი ჩადის? დიალექტიკა თქვენ იცით, თილისმები თქვენა გაქვთ და თილიყამყამი, ეცადეთ ეგებ ერთი მზის ამოსვლა შეაჩეროთ და მეორესი ჩასვლა, სთქვით ძველი აღთქმის გმირივით „შესდექ მზეო!“ და ბრძოლა განაგრძეთ.

მახსოვს ოდესღაც ვიყავი ფრანგი-მუშა პროპაგანდისტებთან ერთად საფრანგეთის ზოგ მიყრუებულ ადგილებში, სადაც ყოველი კატოლიციზმის შავი ძალით არის მოსილი. ვცდილობდით დაბეჩავებულ ხალხში აზროვნობის სურვილი გაგვეღვიძებია. შევიდოდით სოფელში თუ არა, სოფლის მღვდელი ხალხს აგვიჯანყებდა: არ მოუსმინოთ მაგათ, ეგენი ასეთები არიან, ეგენი ისეთები არიან, სცემეთ მაგათ, რათ გინდათ მაგათი რეფერატი, მე აქ არ ვარ, მე ვარ მცოდნე ღვთის სიტყვისა, მე გამიგონეთ, არ გაუგონოთ მაგათ—სჭექდა და ქუხდა ხალხის სიბეჩავით გასუქებული მღვდელი. ეს მივარდნილი კათოლიკური კუნჭულები გახსენდება ხოლმე, როცა ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიის მიდამოში მოხვდები. მთელი საქართველო ფანატიკ-კათოლიკად გახადეს და კიდევ ჩვენ გვეკითხებიან, სად იყავით აქამდეო. გვინდოდა მოსვლა, ლაპარაკი, მაგრამ თქვენ ისე გვექცეოდით, როგორც ის მღვდელი, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი და რომლის ყაყანის მიუხედავად ჩვენ მაინც შევდიოდით სოფელში. ასე მოხდა ჩვენშიც სოფლის სათავეში ბევრის ყაყანის შემდეგ, როგორც იქნა შემოვედით, აწი ვნახოთ რა იქნება ან ვინ სძლევს: კატოლიციზმი თუ თავისუფალი-აზროვნება.

ქ. ტრიმარი.

# ახალი ამბები

გაზეთი „ნოვ.“-ი იტყობინება, რომ ვერაზე ვილაც ბაგრატ თოროზოვი ხალხს ქართულ დემოკრატიულ, რადიკალურ და ს.-ფედერ. ბიულეტენებს ართმევდა. იგი თავის თავს სოციალ-დემოკრატების აგენტს უწოდებდა.

დაიწყო პარლამენტარიზმი და მასთან ერთად პარლამენტარული გარყვნილებაც. რაოდენ არს მოყვარული ამ გარყვნილებისა? იმოდენი რამოდენიც პარლამენტარიზმის მოყვარულია.

— ბათუმიდგან, როგორც გვატყობინებს გაზეთი შრომა, ადმინისტრატიული წესით გაგზავნილია 80 კაცი ჩრდილოეთ გუბერნიებში. (ტ. ლ.).

— გაიქცა, 4 მაისს ღამის ორ საათზე მეტეხის ციხიდგან პოლიტიკური ტუსაღი გ. ჰანტურიშვილი, ცნობილი საპყრობილეში ტუსაღებთაგან სახელწოდებით „ადმირალი ტოგო“ ორი ტუსაღთაგანი რომლებმაც მოინდომეს გაქცევა დაჭერილია. (ტ. ლ.).

— დატუსაღებულია მეტეხის ციხეში თბ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით სამი. გაფიცულთ რიცხვიდან მუშები თუთუნის ფაბრიკის საფაროვისა. (ტ. ლ.).

— ცხენოსან ჟანდარმთა დამცველი რაზმი. გაზეთ კავკაზს მიუღია ცნობა პეტერბურგიდგან, რომ შემოღებულ იქმნას ჟანდარმთა ცხენოსანი დამცველი რაზმი რკინის გზაში გაქურდვისაგან დასაცავად რკინის გზებზე ჯერ ჯერობით აჭალიდგან თბილისამდი და ნავთლუ-

---

მდებარებოდენ ნამდვილ სოციალისტურ მისწრაფებას, ისეთს როგორიც შეგნებული ჰქონდათ ინგლისში ოვენისტების დიდი მოძრაობის დროს (1828—1842) და საფრანგეთში 1848 წლის რევოლიუციის დროს *). საფრანგეთი, ინგლისი და შვეიცარია იყვნენ ნამდვილად ერთად ერთნი მხარეები კონსტიტუციონალურ და პარლამენტარულ რეჟიმით ღ აი სწორედ ამ ქვეყნებში დაინახეს სოციალისტებმა ქარტიებში (სიგელებში) შეტანილი უფლებათა და თავისუფლებათა ამოება, მაშინ როდესაც ხალხის ეკონომიური მდგომარეობა ხელ-შეუხებლად დარჩენილა და ადამიანისაგან ადამიანის გლეჯა შეადგენს საფუძველს ეგრედ წოდებულ საზოგადოებრივ სამართლისას.

მაგრამ სხვა ეროვნების სოციალისტებს და განსაკუთრებით გერმანელებს ვერ უცვნიათ შესაძლებლად ეს დაქვემდებარება პოლიტიკური მოძრაობის ეკონომიური განთავისუფლების მიზნისაგან. და ამიტომ გაუწიეს იმათმა სისტემატიური წინააღმდეგობა იმ ფორმულას, რომელიც წამოაყენეს წინ ფრანგებმა, რომლებსაც ინგლისელები და შვეიცარიელები მხარს უჭერდენ. 1864-დგან დაწყებული ჟენევის პირველ კონგრესადმი, 1866-ში, ყველა კამათში, რომელიც მომავალ ასსოციაციის სტატუტებს შეეხებოდა, მარქსი და მისი მეგობრები წინააღუდგებოდენ ამ ფორმულას და კრების წინადღემდი ნამდვილმა დამწყებლებმა მოძრაობისამ არ იცოდენ გაიმარჯვებდენ თუ არა. მაგრამ დამწყებლების დიდ სასიამოვნოთ, მათი ფორმულა მიღებულ იქმნა კრებაზე. როდესაც ამ ადგილს ვკითხულობდი ამბობს ფრიბურგი *), ტოლენმა ველარ შემოიმაგრა თავი სიხარულისაგან: „ბოლოს, უთხრა მან თავის ამხანაგებს, ამის შემდეგ ველარ იტყვიან ქე მაინც, რომ მხოლოდ მარტო ჩვენ ვართ ისინი, რომლებსაც უთუოდ გვინდა, რომ პოლიტიკური კითხვა არ გავიდეს ყველა სხვა კითხვებზე წინ“. შემდეგში დავინახავთ, როგორ შესცვალეს პოლიტიკოსებმა და დიქტატურის მომხრეებმა რამოდენიმე შემდეგ გამოცემებში ზოგად სტატუტების ეს ადგილი და როგორ გამოიწვიეს განხეთქილება ასსოციაციაში სწორედ ამ მნიშვნელოვან კითხვის გამო.

ვინ იცის იქნება დადგენას სახალხთაშორისო სოლიდარობის პრინციპისას, რომელიც გამოთქმული იყო იმავე მოთხოვნებში უფრო დიდი გავლენა ჰქონებოდა კიდევ მუშათა კლასსზე და სოციალისტურ მოძრაობაზე? რასაკვირველია, საყოველთაო სოლიდარობის იდეა გამოთქმული იყო 1866 წელზე ძლიერ ადრე ფილოსოფოსების და პოეტების მიერ. ეპიკტეტი ღ მარკ-ავრელი, რეფორმის გუმანისტები, ენციკლოპედისტები და დიდი რევოლიუციის აღგზნებულნი, ანახარზისი კლოტცი—„ეს ქვეყნის მოქალაქე“—ბერანჟე და პიერ-დიუპონი **), 1848 წლის რევოლიუცია, მარქსის, დეჟაკის გიორდერუა და სხვების მანიფესტები ქადაგობდენ საყოველთაო სოლიდარობას და ერების ძმობას.

მაგრამ ინტერნაციონალიზმი ისეთი, როგორც ასსოციაციას ესმოდა, განვითარდა ერთი მხრით წარმოების და მისვლა-მოსვლის საშუალების, იმ რევოლიუციის წყალობით, რომელიც მოხდა თანამედროვე კაცობრიობის გულში, მეორე მხრით სენ-სიმონის და რობერტ ოვენის სოციალისტურ შკოლების ფართო აზრების გავლენის ქვეშ, განსაკუთრებით რობერტ-ოვენის, რომელმაც 1836-ში მოაწყო პირველად სახალხთაშორისო საზოგადოება შემდეგი სახელით: „ყველა კლასთა და ყველა ერთა საზოგადოება“. აგრეთვე როგორც ხედავთ ინტერნაციონალის ფორმულა ალიჩნევს უტყუარად ამ ორ გავლენას:

„განვიხილავთ რა, რომ მუშათა განთავისუფლება არ არის ადგილობრივი ან ეროვნული საკითხი; რომ წინააღმდეგ ამისა ამ კითხვით დაინტერესებულია ყველა განათლებული ერები, მისი გადაწყვეტა მიუცილებლათ დამოკიდებულია მათ (ერების) თეორეტიულ და პრაკტიკულ თანამშრომლობაზე;

„რომ მოძრაობა, რომელიც სწარმოებს ევროპის უმეტესად მრეწველ მხარეების მუშათა შორის, იძლევა ახალ იმედებს, გვაძლევს ბრწყინვალე გაბრთხილებას, არ ჩავარდეთ ძველ შეცდომებში, და გვირჩევს შევთხზოთ ყველა ჯერ კიდევ განმარტოვებული მეცადინეობანი:

„ამ მოსაზრებით სახალხთაშორისო კავშირის (ასსოციაციის) კრება აცხადებს, რომ ეს კავშირი, ისე როგორც ყველა მისი მომხრე საზოგადოებანი ან პიროვნებანი, იცნობენ თავიანთ საქციელის საფუძვლად ყველა კაცთან ჭეშმარიტებას, სამართალს, ზნეობას, განურჩევლად ფერისა, რწმენისა ან ეროვნებისა“.

კახელი.

*) იხილე ჩემი ბროშიურა: „ნაწყვეტები სოციალიზმის ისტორიიდგან“, სადაც მოყვანილია (18, 19 და 20 გვ.) ოვენისტების აზრი.

*) ე. ფრიბურგი, მუშათა სახალხთაშორისო ასსოციაცია, 151 გვ. პარიზი 1841 წ.

**) თავის ლექსში ამბობს: „ხალხნი ჩვენთვის არიან ძმები და ტირანები მტრები.“

დი, და ყარსის რკინის გზაზე-ა. (ტ. ლ.).

— ტფილ. მაზრის სოფელ ლასს-ციხეში შანშან მოუკლავთ ალლობრივი მემამულე ნუგზარიანცი. კლულის ქვრივს ნამესტნიკსაის უთხოვნია, გლეხებს გადახდეთ ზარალი, რომელიც ქმრის მოლით მომივიდაო. ნამესტნიკის ნცელარიას ეს ქაღალდი მაზრის მმართველოსათვის გადაუცია საქს განსახილველად.

დღემდი ბაზარზე ყველა ჯიის საქონელი ისყიდებოდა, ეხლა კვდარი ადამიანის გვამიც ფასდება, წორედ ისე, როგორც ეს ხდებოდა ველურობის დროს.

— 63 კაცის გაგზავნა. გენერალ ალიხანოვს შუამდგომლობა აღუძრავს 63 კაცის გაგზავნის შესახებ ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროდან. ამასთან აზრად აქვს 53 კაცი ტობოლის გუბერნიაში გაჰგზავნოს, ხოლო 10 არხანგელსკიაში.

— როგორ, ესმით თავისუფლება ზოგიერთებს. საყურადღებო და დამახასიეთებელ ამბავს გადმოგვცემს რუსული გაზეთი „სპრავედლივოსტ“. ვიღაც კაცები დადიან თურმე ქართლში ð სოფლელთ უშლიან „შრომისა“ და სხვა არა სოციალ-დემოკრატიულ გამოცემათა კითხვას. ამასთან აცხადებენ თურმე, რომ ასეთი განკარგულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მოახდინაო. რომ სოც.-დემოკრატიულ პარტიის აქაურმა განყოფილებამ საჯაროდ უნდა დაჰგმოს ასეთი მოქმედება, თუ-კი ამ განყოფილებას ნამდვილად სწამს სიტყვის, წერის, სინიდისის და სხვა თავისუფლება. ამ უკანასკნელი სიტყვებით მიმართავს გაზ. შრომა, მაგრამ ს.-დ. ჩვენში არ სწამს სიტყვის თავისუფლება და სხვა.

— საფაროვის თამბაქოს ქარხნის მუშებმა პირველი მაისი იდღესასწაულეს და არ იმუშავეს. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სამი მუშა ამ ქარხნისა დააპატიმრეს. ამას უძახიან შრომის თავისუფლებას. კარგი თავისუფლებაა!

— გაზეთი „ნოვი“ სწერს: „პეტროვსკში 23 აპრილს კასპიის მანუფაქტურის ამხანაგობის“ ფაბრიკაში დაიწყო გაფიცვა. 1—მაისს შუადღისას გაფიცულები ასე 200 კაცამდე გაემართა ქალაქის ცენტრისაკენ. მათ გადაეღობა პოლიცია, გზა შეუკრა და ორი მეთაური დაიჭირა. როცა პოლიცმეისტერმა გაიგო რომ მუშებს ამხანაგობის მაღაზიიდან წითელი მატერიები გამოუტანიათ ბაირაღებისათვისო, მაშინვე იქით გაეშურა და თან წაიყვანა ერთი რაზმი დაღესტნის ცხენოსანთა პოლკისა. გროვა გაემართა პოლიციის სამმართველოსაკენ და მოითხოვა დატყვევებულ ამხანაგების განთავისუფლება, მაგრამ როცა დაინახეს დაღესტნელების რაზმი, დაიფანტნენ. სადილთ უკან 4 საათზე მუშათა გროვა, 500 კაცი, მივიდა პოლიცმეისტერის სამმართველოსთან და ხელ-ახლა მოითხოვა დატყვევებულ ამხანაგების განთავისუფლება. როცა მუშებმა უარი მიიღეს, ისინი ციხისაკენ გაემართნენ, მაგრამ მათ იქ დაუხვდა დაღესტნის პოლკის ასეული და მათრახებით გაჰფანტა. დასახიჩრებული და ნაცემი ბევრია. 3 მაის ფაბრიკის ადმინისტრაციამ მუშებს ხელფასის მომატებაზე უარი უთხრა და ყველას ანგარიში გაუსწორა.

— 3 მაისს, სალამოს 8 საათზე მუხრანის ქუჩაზე, მუხრანის სახლში, პრესმანის ოთახში შევიდნენ ეზოდგან რევოლვერებით და ფინურ დანებით შეიარაღებული 6 კაცი. სამი იმათგანი თვალს ადევნებდნენ გასავალ-გამოსავალ კარებთან და სამმა მუქარით მოითხოვეს ფული. წაღებულია 28 მან. სხვა სხვა და ოქრო-ვერცხლის ნივთეულობა ღირებული 250 მანეთად, ოქროს საათიც ღირებული 60 მანეთად და გაიქცნენ. (ტ. ლ.).

რედაქტორ-გამომცემელი

ვ. ი. შალიკაშვილი.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშების სააგენტო).

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** 6 მაისი სამხრეთ ნაწილის ბალახნინის მაზრაში იწვიან ტორფიანიკები.

**ვილსაი.** 6 მაისი. კადეტების საარჩევნო კრება ნება დართული არ არის. ნება დართულია მხოლოდ ორ „პარტიის გარეშეთათვის. ოკტომბრისტები მოქმედებენ თავისუფლად. სურვილი არჩევნებისა იზრდება. გაცხარებულია საარჩევნო აგიტაცია. ამომრჩევლები მაზრისა მიისწრაფვიან თემინი-ხან-შურაში. ქალაქის ამომრჩევლად ამორჩეულია მუსულმანი— სოციალ-დემოკრატი.

**სარატოვი.** ბალაშოვში თავის სახლში დაუხოციათ ცოლ-ქმარნი კამსკები. ხალხი გაუძარცვიათ.

**ბაქო.** გაანთავისუფლეს 34 პოლიტიკური დამნაშავე. აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა. წაიღეს პროკლამაციები და ბომბა. დაუჭერიათ ერთი კაცი.

**კიევი.** ბერდიჩევში მომკვდარა ბომბის აფეთქების დროს, ბომბის მკეთებელი შელიანკინი. მისი დედა და და დაჭრილია.

**ვერხნე-დნეპროვსკი.** დააპატიმრეს რვა ანარხისტი, რომლებიც დასცემიან მღვდლის სახლს.

**პალტავა.** კაბელიანსკის მაზრაში პოლიცია ხალხს ართმევს იარაღს.

**რიგა.** სამ პოლიციელთა მკვლელობისათვის სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა დამნაშავეთ: სამს ჩამოხრჩობა და ერთს ოცი წლით კატორღა.

**მინსკი.** 6 მაისი. დღით შუა ქალაქში ხუთი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა ცუკერმანის თუთუნის ფაბრიკის კანტორას და მოითხოვეს 30 მანეთი ანარქისტთა ორგანიზაციის სასარგებლოთ, პატრონისაგან უარის თქმის შემდეგ გაიტაცეს ძალით და მიიმალნენ.

**ბელოსტოკი.** 6 მაისი. 17 კაცი რევოლვერებით შეიარაღებულნი თავს დაესხა იუვნოვეცკი კსენდზ დომინკევიჩის სახლს და მოითხოვეს ოთხი ათასი მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბომბის აფეთქებით დაემუქრენ; უარის თქმის შემდეგ დაიწყეს სროლა, დაჰკრეს ხელში ამ დროს იქ მყოფი კსენდზ კორკუცი. მოსამსახურე ქალმა მოასწრო გაქცევა, სამრეკლოზე გავიდა, გადაიხურა ნაბადი. ავაზაკები გაიქცნენ.

**ვარშავა.** 6 მაისი. სამი რევოლვერებით შეიარაღებული კაცი თავს დაესხა ღვინის დუქანს, გაიტაცეს რაოდენიმე და გაიქცნენ.

**პალოგრადი.** 6 მაისი. დაბრუნებულნი სალდათები თხოულობენ განთავისუფლებას სახელმწიფო და საერობო გარდასახადებისაგან, თხოულობენ აგრეთვე იმის დაბრუნებასაც, რომელიც მოკრებილია იმათ ოჯახებიდან სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს.

**იაროსლავლი.** 8 მაისი. პეშეხონის მაზრაში გადაიწვა ტყავის ორი ქარხანა. ზარალი 100,000 მ. აღემატება.

**ეკატერინოსლავის.** 8 მაისი. შეაჩერეს გაზეთი „იუჟნაია ზარია“. რომელშიაც მოთავსებული იყო. პროტესტი „დუმას“ წევრის სპოსობნის სიტყვის წინააღმდეგ, რომლითაც მხარს უჭერდა სიკვდილით დასჯას.

**გროდნო.** 7 მაისი. დღისით ზემსკი ქუჩაზე ყუმბარა ესროლეს ყაზახების აფიცერს არავინ არ დაშავებულა მხოლოდ შუშები ჩაიმტვრა. მსროლელი მიიმალა.

**სოსნოვეცი.** 8 მაისი. აქაურს კათოლიკეთა ეკლესიაში დინამიტით ააფეთქეს ფულის ყუთი. ყუთში ფული არ აღმოჩნდა. გაიტაცეს საპასპორტო ბლანკები. ბოროტ გამზრახველნი მიიმალნენ.

**ბახმუტი.** დონეცკი აუზზე გაფიცვები შეწყდა მუშათა მოთხოვნილებანი არ არის დაკმაყოფილებული.

**როსტოვი-დონზე.** შეილევის ცინკის ზავოდში, რვა შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველებმა გაიტაცეს ფული და ნივთეულობა 2000 ღირებული. დამნაშავენი ვერ იპოვეს.

**ზუგდიდი.** 7 მაისი. გაანთავისუფლეს უკანასკნელნი პოლიტიკური დამნაშავენი.

**ბელოსტოკი.** 7 მაისი. სატუსაღო სახლიდან გაიქცა სამი პოლიტიკური დამნაშავე რომლებიც დატუსაღებულნი იყვნენ ასაფეთქებელ ნივთიერების შენახვისათვის.

**კაზანი.** 7 მაისი კრესკოვნიკოვის ზავოდში პოლიციის მეთვალ-ყურე ტოლმაჩევს დღით გზაზე შეხვდა ერთი ახალგაზდა კაცი შემდეგი სიტყვით „მე ძლიერ მეცოდებით იმიტომ ვარ მოსული რომ სისრულეში მოვიყვანო დაბეზღებისათვის. თქვენი მოკვლა“ დასჭრა ტოლმაჩევი მარცხენა ხელში და მიიმალა.

**ვარშავა**, 7 მაისი. სალამოს მეჩექმე მილევსკის სახლში შევიდნენ 16 გაფიცულები, გასჭრეს ტუფლის სამზადებელი, ესროლეს მილევსკის ცოლს, წაიღეს კამოდიდან 96 მანეთი და მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა თანახმობით გადასწყვიტოს მოხსენება სახელმწიფო სათათბიროსთვის წარსადგენად შესახეი იმისა, თუ რა როლს შეასრულებს პოლიცია არეულობის დროს.

**ვერხნედნეპროვსკი.** ეკატერინის გზაზედ მსწრაფლ მატარებელს დაუშინეს თოფები. ფანჯრები ჩამტვრეულია, კედლები—დახვრეტილი, მატარებელი არ გაჩერებულა. დაზარალებული არავინაა.

**მინსკი.** ლიბავა-რემენსკის გზაზედ მომზადებულია მესამე მაშველი მატარებელი, რომლის დანიშნულება გაფიცვის დროს ჯარის და ტყვეთა გადაყვანა იქმნება.

## ჩვენი ბიბლიოთეკა:

რ უ ს უ ლ ა დ:

Кропоткина: Рѣчи бунтовщика.
его же Завоеванiе хлѣба.
его же Взаимная помощь.
его же Промышленность фабрично-заводская и земледѣлiе.

სამი პირველი პეტერბურგის გამოცემაა, უკანასკნელი კი მოსკოვის

Земля и Человѣкъ Е. Реклю. გამოდის რვეულებად, რვეული 75 კ., სულ ღირს 30 მან.

ქ ა რ თ უ ლ ა დ:

ნობათი ყოველ კვირეული.
ოქმები ჟენევის კონფერენციისა.

ელექტრონის სტამბა მ-ხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა. სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა, სახ. № 3.